



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



State Commission
on Migration Issues



საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციის სფეროში საკვანძო მოვლენების კრებული

ფაქტები
და თარიღები

2021 წლის მარტი



PUBLIC SERVICE
DEVELOPMENT AGENCY



ICMPD
International Centre for
Migration Policy Development



ENIGMMA
Putting the pieces together
to respond effectively to migration challenges

საქართველო-ევროკავშირის
თანამშრომლობა

მიგრაციის სფეროში
საკვანძო მოვლენების
კრებული

ფაქტები
და თარიღები

2021 წლის მარტი

ანოტაცია

2021 წელს საქართველო ორ მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავს: ხუთი წელიწადი საზღვარგარეთის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) დასრულებიდან (2015 წლის დეკემბერი) და ოთხი წელი საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან (2017 წლის მარტი). ამ პროცესმა განაპირობა მუდმივი რეფორმების საჭიროება და აუცილებელი გახდა მაღალი სტანდარტებისკენ სწრაფვა და მათი დადგენა.

საქართველომ VLAP-ის მისაღებად და შესასრულებლად გრძელი გზა განვლო, რამაც ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა და ძირფესვიანად შეცვალა მიგრაციის მართვის სისტემა. გეგმა ვერ შესრულდებოდა, რომ არა ის საფუძველი, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეიქმნა სახელმწიფო უწყებებისა და მათი თანამშრომლების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - IOM, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი - ICMPD), ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ამერიკის შეერთებული შტატებისა (აშშ) და სხვა პარტნიორი ქვეყნების მუდმივი მხარდაჭერით, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით.

ასეთი დიდი გუნდის გაერთიანებული ძალისხმევით სათავე დაედო ცვლილებებს, რომელთა საფუძველზეც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ძლიერი სტრუქტურა მიმდინარე გამოწვევებზე რეაგირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ VLAP-ი უკვე შესრულდა, მისი გრძელვადიანი ამოცანები საქართველოს საშუალებას აძლევს, უფრო მოქნილად იმოქმედოს შექმნილ რეალობაში და დაამყაროს ახალი პარტნიორული ურთიერთობები, მაგალითად, ისეთი, როგორიც ცოტა ხნის წინ მიგრაციის ევროპულ ქსელთან. დღეს ძველ და ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობით სახელმწიფო მიზნად ისახავს VLAP-ით განსაზღვრული დინამიკის შენარჩუნებას, ასევე მუდმივმოქმედი მექანიზმების დახვეწას მიგრაციასა და განვითარებას შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.

წინამდებარე პუბლიკაციის შემუშავებაში მონაწილეობდნენ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ) წევრი უწყებები და საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. ნაშრომის მიზანია, ხაზი გაუსვას VLAP-ის მნიშვნელოვან წვლილს საქართველოს მიგრაციის მართვის სისტემის გაუმჯობესებაში. აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას ვუხდით პროცესის ყველა ეროვნულ და საერთაშორისო მონაწილეს, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა VLAP-ით განსაზღვრული ამ მიზნის მიღწევა.

საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

მიგრაციის საკითხთა
სამთავრობო კომისიის
სამდივნო – საქართველოს
იუსტიციის სამინისტროს
სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო

სანაპიროს ქ. 2
თბილისი, საქართველო 0105
<https://migration.commission.ge/>

მიგრაციის პოლიტიკის
განვითარების საერთაშორისო
ცენტრი

მარჯანიშვილის ქ. 6
თბილისი, საქართველო 0102
Gonzagagasse 1
ვენა, ავსტრია A-1010
www.enigmaa.ge www.icmpd.org

პუბლიკაცია ასახავს **ფაქტებსა და თარიღებს** VLAP-ის მხოლოდ იმ შერჩეული ნიშნულების შესახებ, რომლებმაც **გეგმის** შესრულებაში არსებითი წვლილის შეტანის გარდა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საქართველოში მიგრაციის მართვის სისტემის, მობილობისა და ხალხთაშორისი კონტაქტების განვითარებაზე.

საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი მადლობას უხდის ევროკომისიას, ასევე, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიგრაციისა და აკადემიურ დანესებულებებს პროექტების - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“ (ENIGMMA 2) და „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა“. ასევე, ყველა იმ პროექტის მხარდაჭერისა და დაფინანსებისთვის, რომელთა მიზანიც იყო საქართველოში მიგრაციის მართვის სისტემის განვითარება.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ პუბლიკაციის ან მისი რომელიმე ნაწილის გამრავლება, ასლის, ფოტოასლის გადაღება და გადაცემა (ელექტრონულად იქნება ეს, თუ სხვა ფორმით), მათ შორის, ჩაწერით, ან ინფორმაციის შენახვის სხვა საშუალებით, საავტორო უფლების მქონე პირთა თანხმობის გარეშე.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა ევროკავშირის მხარდაჭერით, რაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად ასახავს ორგანიზაციის პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ICMPD.

სარჩევი

ანოტაცია	03
შემოკლებები	06
მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის სახელით	08
მოკლე შინაარსი	10
შესავალი	11
მიგრაციის სფეროში ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საკვანძო მოვლენები	15
VLAP-ის ბლოკი 1: დოკუმენტების უსაფრთხოება, ბიომეტრიის ჩათვლით	19
VLAP-ის ბლოკი 2: საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფარი	21
2.1 საზღვრის მართვის გაუმჯობესება	21
2.2 მიგრაციის მართვა – კოორდინაცია, ანალიზი და საერთო სამთავრობო მიდგომა	26
2.3 შრომითი მიგრაცია	30
2.4 რეადმისია	32
2.5 რეინტეგრაცია	33
2.6 ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო მიგრანტთა გამოვლენა	33
2.7 თავშესაფრის პოლიტიკა	34
VLAP-ის ბლოკი 3: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	37
3.1 ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა	37
3.2 საერთაშორისო თანამშრომლობა	38
3.3 პერსონალურ მონაცემთა დაცვა მიგრაციის სფეროში	39
VLAP-ის ბლოკი 4: საგარეო ურთიერთობები და ადამიანის ძირითადი უფლებები	42
4.1 მოქალაქეთა და უმცირესობათა უფლებები	42
4.2 დიასპორის ჩართულობა	42
4.3 საინფორმაციო კამპანიები	43

შემოკლებები

AA	Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part and Georgia, of the other part. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის.
BOMS	Border Operations Management System. სასაზღვრო ოპერაციების მართვის სისტემა.
COVID-19	Coronavirus Disease 19. კორონავირუსული დაავადება - 19.
EMN	European Migration Network. მიგრაციის ევროპული ქსელი.
EaP	Eastern Partnership. აღმოსავლეთ პარტნიორობა.
EC	European Commission. ევროკომისია.
EMPACT	European Multidisciplinary Platform against Criminal Threats. ევროპული მულტიდისციპლინარული პლატფორმა სისხლის სამართლის საფრთხეების წინააღმდეგ.
ENIGMMA	Enhancing Georgian Migration Management. „საქართველოს მხარდაჭერა მიგრაციის მართვის სფეროში“ - ICMPD-ის პროექტი, დაფინანსებული ევროკავშირის მიერ (2013-2017).
ENIGMMA 2	Sustaining Migration Management in Georgia. „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“ - ICMPD-ის პროექტი, დაფინანსებული ევროკავშირის მიერ (2018-2021).
ENP	European Neighbourhood Policy. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა.
Erasmus+	EU programme to support education, training, youth and sport in Europe. ევროკავშირის პროგრამა განათლების, სწავლების, ახალგაზრდობისა და სპორტის მხარდაჭერისთვის ევროპაში.
EU	European Union. ევროკავშირი.
EURAXESS	European initiative providing researchers with access to career opportunities in Europe. ევროპული ინიციატივა, რომელიც მკვლევარებს ევროპაში კვლევითი კარიერის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევს.
Eurojust/ ევროჯასტი	EU Agency for Criminal Justice Cooperation. ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტო.
Europol/ ევროპოლი	European Police Office. ევროპის პოლიციის სამსახური.
Frontex/ ფრონტექსი	European Border and Coast Guard Agency. ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო.
სსდ	საქართველოს სანაპირო დაცვა.
GDPR	General Data Protection Regulation. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია.
IBM	Integrated Border Management. საზღვრის ინტეგრირებული მართვა.

ICAO	International Civil Aviation Organization. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.
ICCC	International Criminal Cooperation Center. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრი.
ICMPD	International Centre for Migration Policy Development. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი.
Interpol/ ინტერპოლი	International Criminal Police Organization. კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია.
IOM	International Organization for Migration. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.
JMOC	Joint Maritime Operations Center. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი.
K9	Canine. კინოლოგიის სამმართველო.
სსდს	სახმელეთო საზღვრის დაცვის სექტორი.
M&D	Migration and Development. მიგრაცია და განვითარება.
შსს	შინაგან საქმეთა სამინისტრო.
ჯანდაცვის სამინისტრო	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
MoP	Mobility Partnership. პარტნიორობა მობილობისთვის.
NATO	North Atlantic Treaty Organisation. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
ა/ო	არასამთავრობო ორგანიზაცია.
PCA	Partnership and Cooperation Agreement. შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.
პმდ	პერსონალურ მონაცემთა დაცვა.
სსგს	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.
RCMES	Readmission Case Management Electronic System. რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა.
შსსკ	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია.
SLTD	Stolen and Lost Travel Documents. მოპარული და დაკარგული სამგზავრო დოკუმენტები.
დგც	დროებითი განთავსების ცენტრი.
ტრეფიკინგი	ადამიანებით ვაჭრობა.
TIG	Targeted Initiative for Georgia. მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის.
შეასი	Unified Migration Data Analytical System. მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა.
გაერო	United Nations. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.
UNHCR	United Nations High Commissioner for Refugees. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი.
UNODC	United Nations Office on Drugs and Crime. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი.
VLAP	Visa Liberalisation Action Plan. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.
WoGA	Whole-of-Government-Approach. საერთო სამთავრობო მიდგომა.
სგპ	სასაზღვრო გამტარი პუნქტი.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის სახელით

თითქმის ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა საქართველოსთან დიალოგი დაიწყო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე (2012 წ.). განვლილი წლები იყო გამოწვევებით აღსავსე, თუმცა ამავედროულად წარმატებული და სასარგებლო. მიუხედავად იმისა, რომ დიალოგის საბოლოო მიზანი გახლდათ უვიზო რეჟიმის ამოქმედება საქართველოს მოქალაქეებისთვის, VLAP-ის (როგორც პროცესის ერთგვარი საგზაო რუკის) განხორციელებამ დამატებითი ცვლილებები, რეფორმები და წინსვლა განაპირობა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულმა ყველა მხარემ გაიხსენოს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა თუ მთლიანად ქართული საზოგადოების ძალისხმევა და წარმოაჩინოს ამ მიზნისკენ მსვლელობისას მიღწეული შედეგები.

სავიზო დიალოგმა ერთმნიშვნელოვნად გააძლიერა თანამშრომლობა ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის. დიალოგის პროცესში საქართველოში ამოქმედდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროგრამა და ინიციატივა, რომელთა მიზანი იყო შესაბამისი ინსტიტუტების მხარდაჭერა VLAP-ის ნიშნულთა მიღწევაში; ზოგადად კი წახალისდა ხალხთაშორის კონტაქტები. ასევე, სავიზო დიალოგის დაწყება და 2013 წელს VLAP-ის ამოქმედება დაემთხვა ICMPD-სა და საქართველოს მიგრაციისა და საზღვრის მართვის უწყებებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ფაზას.

ეს თანამშრომლობა გააძლიერა სხვადასხვა პროექტის განხორციელებამ, რომელთა მიზანიც იყო მიგრაციის მართვის მხარდაჭერა საქართველოში, რასაც თან ახლდა მნიშვნელოვანი მიღწევები ამ სფეროში. კერძოდ, 2013-2017 და 2018-2021 წლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა ბოლო ორმა პროექტმა – „საქართველოს მხარდაჭერა მიგრაციის მართვის სფეროში“ (ENIGMMA) და „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“ (ENIGMMA 2) – მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის რეალობად ქცევაში. თუმცა, ეს შეუძლებელი იქნებოდა პროექტის ამოცანებისადმი ქართველი კოლეგების ერთგულების გარეშე, რომელნიც მიგრაციის

გამოწვევებზე სათანადო რეაგირებით ხელს უწყობდნენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მობილობასა და ხალხთაშორისი კონტაქტების განვითარებას.

ამდენად, ამ სახით, ქართველ კოლეგებთან და მთელ მოსახლეობასთან ერთად, ICMPD-ში გავიხსენეთ და ავლნიშნეთ საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკვანძო ეტაპები. ამასთან, ვიმედოვნებ, რომ VLAP-ის განხორციელებამ ხანგრძლივი გავლენა მოახდინა მიგრაციის მართვის სფეროში საქართველოს შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და მდგრადობაზე, მათ შორის, შემდეგი მიმართულებებით: პრომიტი მიგრაცია, საერთაშორისო დაცვა და მიგრანტთა უფლებების დაცვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჩათვლით, დიასპორის ჩართულობა, საზღვრის მართვა, არალეგალური მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია.

VLAP-ის წარმატებით განხორციელებისთვის განეული უდიდესი სამუშაოსა და ერთგულებისთვის მსურს, ICMPD-ის სახელით მადლობა გადავუხადო ყველა პარტნიორს საქართველოში და ICMPD-ის თბილისის გუნდს. დარწმუნებული ვართ, რომ მომდევნო წლებში მიგრაციისა და საზღვრის მართვის სფეროებში თანამშრომლობა საქართველოსა და მის პარტნიორებს შორის მთელი ევროპის მასშტაბით უცილობლად გაიზრდება.

ვიოლეტა ვაგნერი

პორტუგელის რეგიონული მენეჯერი, EECA, ICMPD

მოკლე შინაარსი

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებული განხორციელება და საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის უფლების მინიჭება აღინიშნა რიგი ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმებით. ამ მოვლენებმა გარდაქმნა და განავითარა მიგრაციის მართვის მთელი სისტემა საქართველოში, უფრო დაახლოვა რა ის ევროპულ სტანდარტებს. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, წარმოგიდგინოთ გასული წლების განმავლობაში ამ მიმართულებით განვლილი გზა.

VLAP-ის მთელი პროცესი და მიგრაციის ნიშნულებით მიღწეული შედეგები დეტალურად არის დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომია მრავალ ერთმანეთთან დაკავშირებულ, თუმცა განცალკევებულ დოკუმენტში. იგივე ვითარება გახლდათ VLAP-ის ფარგლებს მიღმა განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებითაც. სათანადოდ, ასეთი ინფორმაციის შეგროვებითა და ერთ დოკუმენტში თავმოყრით დაინტერესებული იყვნენ არა მხოლოდ მიგრაციის მართვაში ჩართული პრაქტიკოსები, არამედ ამ სფეროთი დაინტერესებული ან მიგრაციის თემაზე მომუშავე სტუდენტები, მკვლევრები და ჟურნალისტები.

ამდენად, პუბლიკაციაში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია თითქმის ყველა შედეგზე, რომელიც მიღწეულია VLAP-ის განხორციელების პროცესში და მისი დასრულების შემდგომ. კრებული ასახავს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კურსის შესანარჩუნებლად წარმოებულ უწყვეტ ქმედებას. ამავდროულად, VLAP-ის საკანავძო ეტაპებთან ერთად, განხორციელებულ ქმედებათა შესახებ ქვემოთ მოყვანილ ფაქტების ჩამონათვალში აღწერილია ევროკავშირში ქვეყნის ეტაპობრივი ინტეგრაციის პროგრესი.

VLAP-ის წყობის მიხედვით სხვადასხვა უწყების მიერ მოწოდებულ ფაქტებსა და თარიღებზე ინფორმაციის კლასიფიცირების მიზნით, წინამდებარე პუბლიკაცია (როგორც ფორმატის, ისე შინაარსის თვალსაზრისით) ორგანიზებულია ისე, რომ ზუსტად ასახოს სამოქმედო გეგმის ოთხივე ბლოკი. ამ სახით დოკუმენტი უკეთ წარმოაჩენს მიგრაციის საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მრავალი მიმართულებით განხორციელებულ ქმედებებს.

შესავალი

მიგრაციის მართვის თანამედროვე სისტემებზე ძლიერი გავლენა იქონია მრავალმა ფაქტორმა, რომელთაც პრინციპში, განაპირობებს დღევანდელი რეალობა, მიუთითებს რა ასეთ სისტემებს გარდაქმნის აუცილებლობაზე, რათა შესძლებოდათ უახლეს გამოწვევებზე სათანადო რეაგირება.

თანამედროვე მიგრაციის მულტიდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, მის მართვაში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა იზრდება - როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. რაც უფრო რთული და მრავალფეროვანია მიგრაციული პროცესები, მით უფრო მნიშვნელოვანია მეტად გააზრებული და კოორდინირებული მოქმედება. ამისათვის სახელმწიფოს ესაჭიროება საერთო პლატფორმა, რომელიც თავს მოუყრის მიგრაციის მართვაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს (ან დაკავშირებულ სფეროთა წარმომადგენლებს), როგორიცაა: შესაბამისი სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო პარტნიორები, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი, აკადემიური წრეები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადამიანის უფლებათა დამცველები და თავად მიგრანტები. სხვა სიტყვებით, ყოველივე ამას საერთო სამთავრობო მიდგომა (WoGA) ჰქვია. თავის მხრივ, ქმედების შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე წარსამართად თავად WoGA საჭიროებს თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებულ მრავალფუნქციურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულ, ურთიერთდაკავშირებულ და ეფექტიან კოორდინაციას ყველა მონაწილეს შორის. ამგვარი მექანიზმით ასევე შესაძლებელი იქნება ეროვნულ დონეზე კონკრეტული პოლიტიკის ჩამოყალიბება და კოორდინირებული ქმედება, ხოლო გარე პარტნიორებსა და პროცესებთან - ქმედითი კავშირების დამყარება. მსგავსი ტიპის სისტემები უკვე გამოიცადა ან ახლა ყალიბდება სხვადასხვა ქვეყანაში, რაც ადასტურებს მათ უპირატესობას გამოწვევებთან გამკლავების საქმეში.

WoGA-ზე დაფუძნებული მიგრაციის მართვის სისტემის განვითარება საქართველოში ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოკლე ხანში მიგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი სტრუქტურები გაერთიანდნენ (1996) ერთ კოლეგიურ ორგანოში - სახელმწიფო კომისიაში, რომელმაც შეიმუშავა მიგრაციის სფეროში ქვეყნის პირველი პოლიტიკის კონცეფცია (1997). დოკუმენტს უნდა განესაზღვრა მართვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების პროცესი, რასაც მოგვიანებით ძლიერი ბიძგი მისცა ევროკავშირთან

ინტენსიურმა დაახლოებამ.¹ მართვისა და მისი ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად 2010 წელს შეიქმნა ახალი, თუმცა წინამორბედის მსგავსი ორგანო – მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. მან ხელახლა გააერთიანა მიგრაციის სფეროსთან დაკავშირებული ყველა მონაწილე და ქმედება დააფუძნა საერთო სამთავრობო მიდგომაზე. ამდენად, 1996-დან 2010 წლის ჩათვლით დაარსდა, განვითარდა და სტრუქტურულად გაფართოვდა დარგობრივი უწყებები, რამაც შესაძლებელი გახდა ძირითადი თემატური მიმართულებების თავმოყრა და დაჯგუფება არსებული კავშირების მიხედვით. თუმცა განვითარების პროცესის აუცილებელი, დამატებითი დინამიკით უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა, როგორც გახლდათ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

VLAP-ის ფარგლებში მთელმა მართვის სისტემამ, მათ შორის, მსსკ-მაც, კომპლექსური რეორგანიზაცია განიცადა და კომისია გარდაქმნა ორგანოდ, რომელიც იმართება საკუთარ წევრთა თანაზიარი ვალდებულებებითა და შეთანხმებული ურთიერთქმედებით თემატურ მიმართულებებს შორის. ასეთი მიდგომებით მოქმედმა მსსკ-მ, რომელიც ამავდროულად ასოცირების შეთანხმებისა (AA) და VLAP-ის მიერ დადგენილი მიმდინარე განვითარების დღის წესრიგის ნაწილია, თანმიმდევრულად განახორციელა ორი ინდივიდუალური სტრატეგია (2013-2015 და 2016-2020 წწ.), რათა ეფექტიანად და ეტაპობრივად დაენერგა მართვის სისტემაზე მორგებული მიგრაციისა და განვითარების (M&D) პოლიტიკა.

ამდენად, გასული წლების განმავლობაში მართვის მექანიზმი ყალიბდებოდა წინა სტრატეგიითა გამოცდილების გათვალისწინებით და ქმედების ცვლით უახლეს რეალობებზე რეაგირების მიზნით. მალევე როგორც ადგილობრივად, ისე რეგიონულად და გლობალურად, მიგრაციის სფეროში მომხდარი ძვრების და მათთან დაკავშირებული ცვლილებების კვალდაკვალ, წარმოიშვა ახალი გამოწვევებიც და განივრცო იმ საკითხთა სპექტრიც, რაც კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა მომავალი სტრატეგიის შემუშავებისას.

წინამორბედებისგან განსხვავებული, თუმცა VLAP-ის პრინციპების მიმდევარი, ახალი სტრატეგიის გრძელვადიანი (2021-2030) ხედვა მთლიანად მოქცეულია M&D-ის ცნების ჩარჩოში და მასვე ეფუძნება. ეს უკანასკნელი არ ატარებს აქსიომურ ხასიათს, არის ფართო გაგების და გულისხმობს ყველა იმ მიმართულების კოორდინირებულ, სწორ და პრაგმატულ ორკესტრირებას, რომელიც ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს. ამრიგად, სტრატეგიის გადმოსახედიდან მიგრაცია და განვითარება მოიაზრებს, რომ თითოეული თემატური მიმართულება

1 ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (2003); აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და პარტნიორობა მობილობისთვის (2009); სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები (2010); დიალოგი სავიზო რეჟიმის შესახებ (2012); სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (2013-2015); საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (2014).

ჩამოყალიბებულია საერთო ხედვისა და მიზნის შესაბამისად, ხოლო ამ მიზნების მისაღწევად მართვა ხორციელდება უწყებათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობის გზით.


ამგვარად, წინამდებარე პუბლიკაცია განიხილავს მიგრაციისა და განვითარების დიდი მექანიზმის ერთ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს ნაწილს – სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას და მის გავლენას მიგრაციის მართვის სისტემაზე. იმ გეგმისა, რომლის შესრულებით, საქართველომ, ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის უფლების მოპოვებასთან ერთად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების საქმეში.

გიორგი ჯაში


ევროკავშირის პროექტი - „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა“

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო
აღმასრულებელი მდივანი

**მიგრაციის სფეროში
ევროკავშირსა და
საქართველოს შორის
თანამშრომლობის
საკვანძო მოვლენები**



- 2 როდესაც ევროკავშირმა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.
- 3 პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროპულ თანამეგობრობებსა და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის (ლუქსემბურგი, 22.04.1996), იგივე PCA, რომლის რატიფიკაციაც მოხდა 1999 წელს.
- 4 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ. მოგვიანებით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა, რომელიც გამოირჩეოდა უფრო ინტენსიური თანამშრომლობითა და ფართო სპექტრის ჩართულობით. ENP-ის დაფარვის არეალი მოიცავს 16 სახელმწიფოს ევროკავშირის სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე.
- 5 სამღვრის ინტეგრირებული კონტროლი; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; საჯარო ადმინისტრირების რეფორმა; სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული ფუნქციონირება; მიგრაცია და თავშესაფარი; ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა; გარემო და კლიმატის ცვლილება; ვაჭრობა და თანამშრომლობა ვაჭრობის შესახებ რეგულაციების სფეროში, რომლებიც უკავშირდება შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ; მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკა; ტრანსპორტირება; სოფლის მეურნეობა და განვითარება; კვლევა და ინოვაცია.
- 6 ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობა MoP-ის ჩარჩოს ფარგლებში ოფიციალურად 2010 წლის 16 თებერვალს დაიწყო.
- 7 შეთანხმება ევროკავშირს და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ (ამოქმედდა 2011 წელს).
- 8 შეთანხმება ევროკავშირს და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ (ამოქმედდა 2011 წელს).



9 კომისიის მიერ ევროპარლამენტისა და საბჭოთავის წარდგენილი „მოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ“ (COM(2015) 684, საბოლოო), გვ. 12. სამოქმედო გეგმის განხორციელებას ყურადღებით აკვირდებოდნენ კომისია რეგულარული მიმდინარე ანგარიშების ფარგლებში, რომლებსაც აწვდიდა ევროპარლამენტსა და საბჭოს. პროგრესის მეთვალყურეობა დამატებით ხორციელდებოდა ევროკომისიისა და პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის თანამდებობის პირთა რეგულარული შეხვედრების მეშვეობით.

10 სავიზო რეჟიმის შეჩერების შექანოში პირველად 2013 წელს დინერგა ევროკავშირის სავიზო პოლიტიკის ფარგლებში. მექანიზმი იძლევა მსხვერპლ ქვეყნისთვის სავიზო რეჟიმის დროებით, მოკლე ვადით შეჩერების საშუალებას, თუკი პარტნიორი ქვეყნებიდან არალეგალური მიგრაცია მნიშვნელოვნად გაიზრდება. ახალი ზომები ევროკავშირის უფრო სწრაფად და მოქნილად რეაგირების საშუალებას აძლევს მიგრაციის ზრდის ან მისი უსაფრთხოების რისკების შემთხვევაში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უვიზო მიგრაციის გამო. ევროპარლამენტმა და ევროპულმა საბჭომ მიიღეს გადახედული მექანიზმი, რომელიც ძალაში 2017 წელს შევიდა. გადახედული მექანიზმის შესაბამისად, კომისიას შეუძლია შეჩერების მექანიზმის ამოქმედების ინიცირება (მანამდე ეს მხოლოდ წევრ სახელმწიფოს შეუძლოთ). ევროკომისიის ანგარიშები სავიზო რეჟიმის შეჩერების შესახებ გამოქვეყნდა 2018 და 2020 წლებში.

VLAP - ბლოკი 1:

დოკუმენტების უსაფრთხოება ბიომეტრიის ჩათვლით

2013-2019 წლებში შემუშავდა და ამოქმედდა ახალი რეგულაციები პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სამოქალაქო აქტებთან დაკავშირებით. ამით შესაძლებელი გახდა **მაღალტექნოლოგიური, გაყალბებისგან დაცული, სანდო და ევროპული სტანდარტების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების** (პირადობის ელექტრონული მოწმობა და ბიომეტრიული პასპორტი) დანერგვა და გავრცელება.

დღესდღეობით პირადობის ელექტრონულ დოკუმენტს ფლობს 3,067,888 პირი, ხოლო ბიომეტრიულ პასპორტს - 1,520,622.

პირადობის დამადასტურებელი უსაფრთხო დოკუმენტების გასაცემად 2013 წელს დაიწყო და გრძელდება **ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისა და გაუმჯობესების პროცესი**.

2014 წლიდან ბიომეტრიული პასპორტებით აქტიურად **ნაცვლდება ძველი ტიპის პასპორტები**. ამავე წლის 28 ივლისიდან ეს შესაძლებელია საზღვარგარეთაც, საქართველოს საკონსულო დანესებულებებში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში (სსგს) შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და დაინიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. 2014 წელს სსგს-ში **შეიქმნა დაცული პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და მინოდების სისტემა**. მისი მეშვეობით მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2014 და 2018-2019 წლებში **ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები (მათ შორის, სახელისა და გვარის შეცვლის პროცედურების გასამკაცრებლად)**, რაც მიზნად ისახავს უვიზო მიმოსვლის არამართლზომიერი გამოყენების პრევენციასა და **შეჩერების მექანიზმის** ამოქმედების ალბათობის მაქსიმალურად შემცირებას.

მიმდინარეობს არსებული ყველა სამოქალაქო აქტის გაციფრულება, რისი მთავარი მიზანიც არის მონაცემთა ბაზების დახვეწა სანდო საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გასაცემად. ყოველ წელს ციფრულდება დოკუმენტების, დაახლოებით, 1,3 მილიონი გვერდი. 2014 წლიდან დღემდე ბაზაში გაციფრულდა 6,806,728 აქტის ჩანაწერი. ეს პროცესი 2024 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს, რაც საბოლოო ჯამში, 10 მილიონზე მეტი აქტის გაციფრულებას გულისხმობს.

2014 წლიდან საქართველოს ყველა სასაზღვრო გამშვებ პუნქტში ინტეგრირდა კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Interpol/ინტერპოლი) მოპარული და დაკარგული სამგზავრო დოკუმენტების (SLTD) მონაცემთა ბაზა.

2016 წლიდან საქართველო გადავიდა ე.წ. მესამე თაობის ბიომეტრიული პასპორტების მოხმარებაზე. საერთაშორისო (მათ შორის, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის - ICAO) სტანდარტთა დაცვით დამზადებული ბიომეტრიული პასპორტების შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების სანდოობა საერთაშორისო დონეზე, რაც პირდაპირ აისახა ქვეყნის მიერ ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის უფლების მოპოვებაზე.

2019 წელს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსა და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, სააგენტოს პირდაპირი წვდომა აქვს ინტერპოლის მოპარული და დაკარგული სამგზავრო დოკუმენტების მონაცემთა ბაზაზე. შეთანხმების მიხედვით, ინტერპოლს რეალურ რეჟიმში მიეწოდება ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეთა, ასევე ქვეყანაში ბინადრობის უფლების მქონე პირების და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სამგზავრო დოკუმენტებზე.

VLAP-ბლოკი 2:

საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფარი

2.1 საზღვრის მართვის გაუმჯობესება

საზღვრის ინტეგრირებული მართვის (IBM) სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საზღვრის მართვის ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად, ასევე, ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად, შემუშავდა სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის ეროვნული სტრატეგია. დოკუმენტი მოიცავს საზღვრის მართვის ყველა ასპექტს, მათ შორის: რისკის ანალიზს, საზღვრის დაცვას, საზღვრის მართვის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის საკითხებსა და სხვ.

ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება

თანამედროვე ოპერატიული სასაზღვრო გამტარი პუნქტები

საქართველოს აქვს თანამედროვე სასაზღვრო გამტარი პუნქტები (სგპ), რომლებიც განახლებული და ადაპტირებულია სხვადასხვა ნაკადის კონტროლისთვის. მათი მართვის მოდელი სრულად შეესაბამება ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას.

ყველა სგპ სრულად აღჭურვილია ევროპული სტანდარტების შესაბამისი შემონმების ორივე ხაზით. სგპ-ებს შორის ეფექტიანი/ შეუფერხებელი კოორდინაციისათვის, ასევე, ინფორმაციის გაცვლის უზრუნველსაყოფად 2018 წელს შეიქმნა საზღვრის მართვისა და

კოორდინირების მთავარი სამმართველო, რომელიც ხელს უწყობს საზღვრის მართვის პროცესის ცენტრალიზებასა და ეფექტიანობას.

უვიზო რეჟიმის წარმატებულად გაგრძელებისთვის, საქართველოს კანონში „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რომელიც ქართველ მესაზღვრე-კონტროლიორებს საშუალებას აძლევს, უკვე ქვეყნის საზღვრებზევე შეამოწმონ უვიზო მიმოსვლით გათვალისწინებული დოკუმენტები და პირობები. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქე არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მას შეიძლება უარი ეთქვას ქვეყნიდან გასვლაზე.

სასაზღვრო სექტორების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მართვა, კონტროლისა და კომუნიკაციის შესაძლებლობები

საზღვრის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროცესში, 2012-2020 წლებში აშენდა სახმელეთო საზღვრის დაცვის 23 სექტორი. გარდა ამისა, 9 სექტორი აღიჭურვა საზღვრის მეთვალყურეობის თანამედროვე სისტემით. შსს-ის უმთავრესი მიზანია მაღალრისკიანი სექტორების აღჭურვა. ამასთან, სამინისტრო აგრძელებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ყველა შესაბამის სასაზღვრო სექტორში.

2016 წელს სასაზღვრო პოლიციაში შეიქმნა კინოლოგიის სამმართველო, რომელიც ახალი ინსტრუმენტია სახელმწიფო საზღვრის არალეგალური კვეთის მცდელობისას პირების აღმოსაჩენად და დასაკავებლად.

საზღვრის დაცვაში აქტიურად არის ჩართული ავიაცია: იგი ასრულებს სასაზღვრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მრავალ ფუნქციას; ასევე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საზღვაო სივრცეში მონაწილეობს ძებნა-გადარჩენისა და ხანძრის ჩაქრობის ოპერაციებში.

„მწვანე“ და „ლურჯ“ საზღვრებზე გაძლიერებული მონიტორინგი და (ვიდეო/ფოტო) მეთვალყურეობა

„მწვანე“ საზღვრებზე ელექტრონული და ვიდეომეთვალყურეობის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით შეიქმნა „სასაზღვრო ოპერაციების მართვის სისტემა“. მასში ერთიანდება: ვიდეომეთვალყურეობა, კომუნიკაცია, ტაქტიკური განლაგება (მესაზღვრეები), პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები. სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის ყველა მიმართულებას.

ასევე საქართველოს საზღვაო სივრცის გაძლიერებული მონიტორინგის მიზნით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა „აილენდის“ კლასის ორი სადარაჯო ხომალდის

შეძენა. ახალმა საპატრულო ხომალდებმა კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციული შესაძლებლობები. კერძოდ, გაძლიერდა აქცენტი საქართველოს ტერიტორიული წყლების მიღმა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ისევე როგორც გაუმჯობესდა საერთაშორისო საზღვაო სწავლებებში მონაწილეობის შესაძლებლობები. გარდა ამისა, 2012-2020 წლებში გაუმჯობესდა სანაპირო დაცვის ლოგისტიკური შესაძლებლობები, ბათუმში საქართველოს სანაპირო დაცვის ფლოტისთვის აშენდა ახალი საზღვაო ბაზა.

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის შექმნა

2013 წელს შეიქმნა საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი (JMOC). მისი მიზანია, უწყებათშორისი თანამშრომლობით აღკვეთოს, გამოავლინოს და აღმოფხვრას ყველა სახის უკანონო ქმედება, საზღვაო ინციდენტები და საქართველოს საზღვაო სივრცის დარღვევა, რაც სამიშროებას უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ცენტრში წარმოდგენილია საზღვაო ოპერაციებში ჩართული ყველა შესაბამისი სამინისტრო და იურიდიული პირი.

ცენტრი აწარმოებს და შესაბამის უწყებებში ავრცელებს ყოველდღიურ ანგარიშებს. მოთხოვნის შემთხვევაში, აანალიზებს მონაცემებს და შეიმუშავებს კონკრეტულ ანგარიშებს. ცენტრი პერმანენტულად ცვლის ინფორმაციას NATO-ს ნაოსნობის ცენტრთან შავ ზღვაში „კომერციული ნაოსნობის“ საკითხებზე.

უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

უწყებათშორისი თანამშრომლობა

უწყებათშორისი თანამშრომლობის კუთხით მნიშვნელოვანია პოლიციისა და საბაჟო სამსახურის საქმიანობის დაახლოება საზღვრის ინტეგრირებული მართვის პრინციპებთან. ამ მიზნის მისაღწევად როგორც ოპერატიულ, ისე პოლიტიკის დონეზე შეუფერხებელი კომუნიკაციისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ღონისძიება გატარდა.

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებსა და დანაშაულთან ბრძოლის ოფისისა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, 2012 წლიდან საქართველოში ხორციელდება კონტეინერების კონტროლის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი შემოსავლების სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და UNODC-ს შორის. დოკუმენტის შესაბამისად, ფოთსა და თბილისში შეიქმნა პორტის კონტროლის ერთობლივი დანაყოფები, ისევე

როგორც საავიაციო ტვირთის კონტროლის დანაყოფი. ერთობლივი დანაყოფების მთავარი ფუნქციაა ნარკოტიკებისა და კონტრაბანდული ტვირთის უკანონო გადატანის პრევენცია.

- 2013-2017 წლებში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს მხარდაჭერით, განხორციელდა კინოლოგიის პროექტი, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი შემოსავლების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. მემორანდუმის საფუძველზე, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში შეიქმნა ნარკოტიკებთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფები, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკული თუ ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო გადაზიდვის გამოვლენას.

საერთაშორისო თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან

- მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა საზღვრის მართვის საკითხებზე არალეგალური მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის გამოვლენის ეფექტური ინსტრუმენტია. საზღვრის მართვის საკითხებზე საქართველოს 11 პარტნიორ ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ორმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებები.
- ქვეყანამ კიდევ უფრო გააღრმავა თანამშრომლობა NATO-სთან: 2014 წელს საქართველომ NATO-ს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობაში მიაღწინა მეკავშირე ოფიცერი, რომელიც ხელს უწყობს MARCOM-სა და შსს-ს შორის ინფორმაციის ეფექტიან გაცვლას. ამასთანავე, 2020 წელს MARCOM-თან გაფორმდა ახალი ტაქტიკური მემორანდუმი.

NATO-სთან ურთიერთთავსებადობის ასამაღლებლად და ოპერაცია „ზღვის მცველში“ მონაწილეობის მისაღებად, NATO-ს ოპერაციული კონცეფციის შესაძლებლობების შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი სააბორდაჟო ჯგუფი წარადგინა. მიმდინარე ეტაპზე, ორივე ჯგუფმა წარმატებით დაასრულა შეფასების პროცესის სამი ფაზა (SEL1, NEL1, SEL2). გარდა ამისა, 2019 წელს შსს-მ NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალებში ორი საპატრულო კატარღა წარადგინა, რომლებიც სერტიფიცირების შემდგომ მიიღებენ NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალების სტატუსს.

- ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობა 2008 წელს, სამუშაო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დაიწყო. თანამშრომლობა მხარეებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა და მოიცავს ისეთ

მიმართულებებს, როგორცაა: ერთობლივ და დაბრუნების ოპერაციებში მონაწილეობა, თანამშრომლობის გაცვლა; რისკების ანალიზის კუთხით თანამშრომლობა და შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა (EaP-RAN; Pulsar Data Exchange). სამუშაო შეთანხმება ასევე ითვალისწინებს Frontex-ის აკადემიების ქსელში ჩართულ სასწავლო ინსტიტუტებს შორის საზღვრის მართვის კუთხით თანამშრომლობას და შესაძლებლობის გაძლიერების ღონისძიებებში მონაწილეობას.

2021 წელს FRONTEX-თან ხელი მოეწერა განახლებულ სამუშაო შეთანხმებას ოპერაციული თანამშრომლობის შესახებ. განახლებული შეთანხმების თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ არალეგალური მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებისა და საზღვრის მართვისა და დაბრუნების საკითხებზე ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების კუთხით.

2019 წლიდან, FRONTEX-თან ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში, ერთდროს როტაციის პრინციპით, ოთხი ქართველი პოლიციელი წარიგზავნა ევროკავშირის წევრი ქვეყნების აეროპორტებში. ქართველი ოფიცრების მივლინება განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უკანონო შესვლის პრევენციის კუთხით. ოფიცრების მიერ გატარებული ღონისძიებები ხელს უწყობს ევროკავშირის საზღვრებზე სასაზღვრო შემოწმების პროცედურების განხორციელებას.

სასაზღვრო რისკების ანალიზის სისტემის განვითარება ევროკავშირისა და Frontex-ის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად

სასაზღვრო ოპერაციების ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად გადაიდგა ნაბიჯები, რაც მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო რისკის ანალიზის სისტემის გაუმჯობესებას ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. რისკის საერთო სურათის მისაღებად, 2015 წლიდან არაერთი ღონისძიება გატარდა (მათ შორის, სასაზღვრო კონტროლის, საზღვრის მეთვალყურეობისა და მიგრაციის კუთხით). შემუშავდა (Frontex-ის CIRAM-ის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით) რისკის ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც, სამინისტროს მასშტაბით შეიქმნება რისკის ანალიზის პროდუქტი.

2.2 მიგრაციის მართვა-კოორდინაცია, ანალიზი და საერთო სამთავრობო მიდგომა

2013-2015 წლებში განახლდა და მნიშვნელოვნად განვითარდა 2010 წელს შექმნილი მიგრაციის მართვის მთავარი პლატფორმა¹¹ – მსსკ-ის სამოქმედო მექანიზმი და პრიორიტეტები. შედეგად, 2016 წლიდან საქართველო გადავიდა მიგრაციის მართვის უახლეს ევროპულ სტანდარტებზე.

მართვის კოლეგიურმა ორგანომ, მსსკ-მ, სფეროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მონაწილე გააერთიანა და ქმედებები დააფუძნა საერთო სამთავრობო მიდგომაზე. კომისია იქცა საერთო პლატფორმად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა მიგრაციის მართვაში ჩართულ დარგობრივ უწყებებში ურთიერთთან დაკავშირებული მიგრაციის ძირითადი თემატური მიმართულებების გაერთიანება, რამაც განაპირობა, ერთი მხრივ, ამ უწყებების პროფილურად და სტრუქტურულად გამსხვილება და განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, მათი თანაზიარი ვალდებულებების პრინციპზე დაფუძნებული კავშირების მიხედვით კომისიის ფარგლებში დაჯგუფება.

ამდენად, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საერთო სამთავრობო მიდგომაზე დაფუძნებული მიგრაციის მართვის მექანიზმების განვითარების კუთხით, რაც ეროვნულ დონეზე სფეროს თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნაში გამოიხატა. მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესების მიზნით, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობამ საფუძველი დაუდო ამ სფეროში ერთიანი და ცენტრალიზებული სტრატეგიული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას ქვეყანაში, რითაც, სხვათა შორის, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირთან ინტეგრაციის საქმეში. კომისიის განვითარებას იმთავითვე მხარს უჭერდა ამ სფეროში რეფორმების გატარებით დაინტერესებული ევროკავშირი.¹²

ევროკავშირთან თანამშრომლობით მყარი საფუძველი მომზადდა მიგრაციის მართვის ეროვნული სისტემის ერთიანი სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად: პროცესის პირველ (საწყის) ფაზაში შეიქმნა კომისია, დამტკიცდა 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია,

¹¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 314 მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 13.10.2010 https://migration.commission.ge/files/matsne-scmi_decree_ge.pdf

¹² ევროპარლამენტი (2020), ანგარიში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების შესახებ, 2019/2200(INI), საგარეო საქმეთა კომიტეტი. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-9-2020-0136_EN.html

ჩამოყალიბდა მართვის ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლები და უწყებები. ამ საფუძველზე მეორე (ფორმირების) ფაზაში სახელმწიფომ შეიმუშავა და აამოქმედა რთული მრავალდარგობრივი მექანიზმები, რომელთა რაობა და განხორციელების ინსტრუმენტები განისაზღვრა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში.¹³ მესამე (განვითარების და მუდმივი მოდერნიზაციის) ფაზა, რომლის განხორციელებაც მომდევნო წლებში იგეგმება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სფეროში საქართველოს წინსვლისთვის.

2013 და 2015 წლებში დამტკიცდა საქართველოს 2013-2015 და 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიები. მათი ძირითადი თემებია: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა; ბრძოლა არალეგალურ მიგრაციასთან; ქართველ მიგრანტთა დაბრუნება და რეინტეგრაცია; ქართული დიასპორის ხელშეწყობა; ცნობიერების ამაღლება; მიგრაცია და განვითარება; საერთაშორისო დაცვა; ინტეგრაცია და სხვ.

2014 წელს ამოქმედდა ახალი ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. ამ საკანონმდებლო აქტით გამარტივდა საქართველოს მოქალაქეობის დადგენა და ახლებურად დარეგულირდა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების პროცედურები. საკანონმდებლო აქტი სრულად ესადაგება „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაერო-ს 1961 წლის კონვენციას. 2018 წელს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად, შესაძლებელი გახდა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში. ასევე შესაძლებელი გახდა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა საქართველოს ყოფილი მოქალაქისთვის, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა დაკარგული ჰქონდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო.

გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველებისთვის შემუშავდა ახალი საგამოცდო ტესტები, ტესტები საჯაროდ ხელმისაწვდომია ამ საკითხით დაინტერესებულთათვის და განსაზღვრულია განმცხადებლის ცოდნის დონის შესამოწმებლად ქართულ ენაში, საქართველოს ისტორიასა და სამართლის ძირითად საფუძვლებში.

2014 წელს ძალაში შევიდა კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელმაც ახლებურად დაარეგულირა უცხოელთა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლები და დაადგინა ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების ახალი კატეგორიები. აღნიშნულმა გააუმჯობესა ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის პროცედურები და განსაზღვრა საქართველოში უცხოელთა ყოფნის მიზნები. ამასთან, ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების

¹³ სტრატეგია მომზადდა, მათ შორის, ICMPD-ის დახმარებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პირველი პროექტის - ENIGMMA-ს ფარგლებში.

საკითხებზე მომუშავე უწყებათა მუდმივად გაძლიერებისა და დახვეწისთვის, შესაბამისი დაწესებულებები რეგულარულად სწავლობენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ამ მხრივ, განვითარების ორი თვალსაჩინო მაგალითია ელექტრონული ვიზის გაცემის სერვისის დანერგვა და ბინადრობისა თუ მოქალაქეობის განაცხადის დისტანციურად წარდგენის საშუალება.

2014 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აამოქმედა საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემა „ჯეოკონსული“ (www.geoconsul.gov.ge). სისტემის გაშვება იყო მნიშვნელოვანი, რადგანაც პორტალის საშუალებით ხელმისაწვდომი გახდა საკონსულო სერვისებთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია. ამასთან, შესაძლებელი გახდა ხელმისაწვდომი საკონსულო მომსახურებების ერთ სივრცეში მოქცევა.

2015 წელს საქართველომ აამოქმედა ელექტრონული ვიზის პორტალი, რომლის მეშვეობითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოს საელჩოსა ან საკონსულოში გამოცხადების გარეშე მიიღონ ქვეყანაში შემოსასვლელი მოკლევადიანი ვიზა (ტურისტული, ბიზნესის, კულტურისა თუ სპორტული მიზნით). ელექტრონული ვიზა მფლობელს ანიჭებს საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის ისეთივე უფლებას, როგორსაც პასპორტში ჩასაკრავი ჩვეულებრივი ვიზა.

2015 წელს შემუშავდა მიგრაციის მონაცემთა ანალიზის ერთ-ერთი ინსტრუმენტი – უახლესი თაობის მიგრაციის პროფილი – რომელიც 2016-2019 წლებში მაქსიმალურად დაიხვეწა და სხვა ქვეყნებისთვის სამოდულო დოკუმენტად იქცა.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სპეციალიზებულ აკადემიურ კვლევებთან, სემინარებსა და კონფერენციებთან ერთად, აღსანიშნავია ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი: 2014 წელს მსსკ-მ გამოაქვეყნა IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის პირველი ქართული ადაპტირებული ვერსია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთო ტერმინოლოგიური ბაზის შექმნაში მიგრაციის მართვაში ჩართული უწყებებისთვის; იმავე წელს მსსკ-მ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი მიგრაციის სფეროში კვლევისა და სტაჟირების საკითხებში თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ; 2017 წელს მსსკ-ის სამდივნომ და ICMPD-მ დაასრულეს 2013 წელს დაწყებული ერთობლივი ინიციატივა და გამოსცეს პირველი ქართული მიგრაციის სახელმძღვანელო - მულტიდისციპლინური ნაშრომი, რომელიც შეიქმნა როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ისე ამ სფეროს პრაქტიკოსებისთვის; 2020 წელს მსსკ-ის სამდივნომ და იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა „საკანონმდებლო მაცნემ“ (ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო), EMN-სა და ICMPD-სთან თანამშრომლობით და საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დახმარებით, დაიწყო EMN-

ის თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის უახლესი 7.0 ვერსიის თარგმნა. ეს გადახედილი ტექსტი ჩაანაცვლებს (2014 წლიდან) არსებულ განმარტებით ლექსიკონს და პრაქტიკოსებს წარუდგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული და გამოყენებული ტერმინოლოგიის განახლებულ და ბევრად ვრცელ კრებულს.

2019 წელს რეალური დროის რეჟიმში ამოქმედდა მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა (მეასი) - ინოვაციური საინფორმაციო-ტექნოლოგიური გადაწყვეტა მიგრაციის მონაცემთა ხარვეზების ხანგრძლივი გამოწვევის გადასატრელად. იგი აკავშირებს მიგრაციის მართვაში ჩართული სხვადასხვა უწყების მიერ შეგროვებულ ადმინისტრაციულ მონაცემებს, „big-data-ს“ ტექნოლოგიებისა და მოწინავე ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. სისტემა შეიქმნა 2014-2016 წლებში, რათა ანალიტიკოსებისთვის საშუალება მიეცა, აღმოეჩინათ ფარული „პატერნები“, კორელაციები, ასევე, ტრადიციული ბიზნესანალიტიკური გადაწყვეტილებებისა და შემატყუარებელი სტატისტიკისთვის უხილავი სხვა ანალიტიკური მონაცემები. მეასი იყენებს ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც დღეს ფართოდ გამოიყენება „big-data-ს“ სფეროში, მაგრამ სიახლეა საჯარო სექტორისთვის.

მიგრაციის მართვა მოითხოვს ეფექტიან კოორდინაციას ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას შორის. მიგრაციის რისკების ერთიანი სისტემის შექმნის (2015-2019) მთავარი ამოცანა გახლდათ: მიგრაციულ ნაკადებთან დაკავშირებული მონაცემების გაანალიზება; ტენდენციების გამოვლენა; გამოვლენილი რისკების შეფასება და შესაბამისი რეაგირება მოსალოდნელ პროცესებზე; პრევენციული ზომებისა და რეკომენდაციების შემუშავება; და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება.

ამისათვის მსსკ-ში შეიქმნა მიგრაციის რისკების ანალიზის უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება ხუთი სახელმწიფო უწყებისგან. კომისიამ 2016 წელს შეიმუშავა მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიზის კონცეფცია, ხოლო 2020 წელს – შესაბამისი მეთოდოლოგია. ეს უახლესი დოკუმენტი ხელს შეუწყობს რისკების მართებულად შეფასების პროცესის სწორ მართვას, რაც მათი ეფექტიანი მართვის განუყოფელი ნაწილია.

2020 წელს დამტკიცდა **2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია**. მისი გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება „მიგრაციისა და განვითარების“ პრინციპს, რომელიც ემსახურება მიგრაციის უარყოფითი¹⁴

¹⁴ მაგ.: მაღალკვალიფიციური მოქალაქეების და მათთან ერთად ე.წ. ინტელექტის გადინება და/ან საკუთარი პოტენციალის და უნარების სრულად ვერ გამოყენება; მოსახლეობის შემცირება, განსაკუთრებით შრომისუნარიანი და რეპროდუქტიული ასაკის; არალეგალური მიგრაცია, რომელიც სხვათა შორის მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს არალეგალურად მყოფ პირთა უფლებების დაცვის შესაძლებლობას, განსაკუთრებით ქალების და მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში; რთული ფსიქო-სოციალური მდგომარეობა ემიგრანტთა ოჯახებში და ა.შ.

შედეგების მინიმუმამდე შემცირებას და დადებითი¹⁵ ეფექტის გაზრდას, რაც მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ქვეყნის განვითარებისთვის. შესაბამისად, ასეთი პრინციპი ითვალისწინებს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და მართვაში ჩართული ყველა უწყების ურთიერთდაკავშირებულ ქმედებას, ორიენტირებულს ქვეყნის განვითარებაზე.

უვიზო რეჟიმის შესანარჩუნებლად, ასევე, ე.წ. შეჩერების მექანიზმის ამოქმედების პრევენციისათვის, 2019 წლის 10 დეკემბრიდან ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შევიდა საქართველოს კანონში „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“. ამ ცვლილებების საფუძველზე, მკაფიოდ განისაზღვრა და გამკაცრდა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ნებართვის გაცემა, მისი ვადის გაგრძელება და გაუქმება იმ მსჯავრდებულთა საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის, რომელთა მიმართაც გამოყენებულია არასაპატიმრო სასჯელი, ან პრობაციის ღონისძიება.

2.3 შრომითი მიგრაცია

2013-2016 წლებში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად, განხორციელდა დროებითი შრომითი (ცირკულარული) მიგრაციის პირველი საცდელი პროექტი.

2017-2019 წლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ცირკულარული მიგრაციის საცდელი პროექტი განხორციელდა პოლონეთთან, სადაც დასაქმდა საქართველოს 65 მოქალაქე. საცდელი პროექტით დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე, აქტიურად მიმდინარეობს მსგავსი სქემების შემუშავება/ამოქმედება სხვა პარტნიორ ქვეყნებთანაც. უპირველეს ყოვლისა, მათი მიზანია ქართველ მიგრანტთა უსაფრთხო და ორგანიზებული დასაქმება, შრომითი თუ სოციალური უფლებების დაცვით და სამშობლოში დაბრუნების უზრუნველყოფით.

2013 წელს საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ. დოკუმენტი ძალაში შევიდა 2019 წლის 1 თებერვალს. ამჟამად ფრანგულ

¹⁵ მაგ.: ლეგალური მიგრაცია; მიგრანტთა ფულადი გზავნილების სწორი მართვით წარმოშობის ქვეყნებში სიღარიბის შემცირება, ბიზნესის განვითარება, ასევე განათლებისა და ჯანდაცვაზე წვდომა; დაბრუნებული მიგრანტების მიერ განვითარებულ ქვეყნებში მიღებული ცოდნისა და უნარების საკუთარ ქვეყანაში გამოყენება; აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიების, ღირებულებების, იდეების და ინოვაციების ჩამოტანა; დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში (ინვესტიციები, ვაჭრობის და მენარმეობის განვითარება, ქვეყნის პოპულარიზაცია ტურისტების მოსაზიდად); იმიგრანტების პოტენციალის გამოყენება და სხვა.

მხარესთან მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები შეთანხმების ეფექტიანად განხორციელების გზებზე შესათანხმებლად.

2015 წელს ამოქმედდა კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“, რომელიც არეგულირებს საქართველოდან შრომითი ემიგრაციის საკითხებს, შუამავალი კომპანიების რეგულირებისა და პოტენციურ ემიგრანტთა ინფორმირების გზით. კანონზე დაყრდნობით შემუშავდა წესი, რომლის თანახმადაც, ასეთი კომპანიები ვალდებული არიან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში განეულ საშუაშალო საქმიანობაზე.

რეგულირების წესი შეეხო უცხოელთა საქართველოში დასაქმების პირობებსაც. N 417 დადგენილებით მთავრობამ დაამტკიცა (2015 წლის 7 აგვისტოს) **„შრომითი იმიგრანტის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესი“**. საქართველოში უცხოელთა დასაქმების მარეგულირებელი პირობები ამოქმედდა 2015 წლის 1 ნოემბერს.

საქართველოში შრომითი მიგრაციის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების საკითხთა (როგორც უწყებათშორისი, ისე ზოგადად ქვეყნის პოლიტიკის) კოორდინაციის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში **2018 წელს** შეიქმნა შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველო.

2020 წელს საქართველოში შეიქმნა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომლის მიზანია, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის დასაქმებას, ასევე საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა დროებით ლეგალურ დასაქმებას.

შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარებისა და საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით:

- 2017 წლიდან ექვს ქვეყანასთან ინიცირებული იქნა დიალოგი და განსახილველად გაეგზავნათ შეთანხმების პროექტი **„ლეგალური დროებითი (ცირკულარული) შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“**;
- 2019 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას **„ბულგარეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ“**;

- 2020 წელს საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“. დოკუმენტის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ გერმანიაში 3-თვიანი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობა. ამავე წელს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის ხელი მოეწერა ორმხრივ შეთანხმებას „ისრაელის სახელმწიფოში შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ“.

2.4 რეადმისია

2011 წელს ძალაში შევიდა შეთანხმება „ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება, რასაც სტატისტიკის თანახმად, წარმატებით გაართვა თავი (რეადმისიის განცხადებათა დაახლოებით 97% დადასტურდა). შეთანხმება მასში ჩართული ყველა მხარისთვის წარმატებულად ხორციელდება. საქართველო ინარჩუნებს რეადმისიაზე მიღებულ განცხადებებზე დადებითი გადაწყვეტილებების მიღების მაღალ მაჩვენებელს.

რეადმისიის შეთანხმება ქმნის მექანიზმს იმ პირთა უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნებისთვის, რომლებიც ვერ ან ვეღარ აკმაყოფილებენ საქართველოს ან ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ცხოვრებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. დამატებით, შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისთვის, საქართველომ საიმპლემენტაციო ოქმები გააფორმა ევროკავშირის წევრ 12 ქვეყანასთან.

შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება ხაზს უსვამს ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის წესების დაცვის კუთხით საქართველოს პასუხისმგებლობას და მის სანდოობას.

საქართველო რეადმისიის საკითხებზე წარმატებით თანამშრომლობს სხვა პარტნიორ ქვეყნებთანაც. რეადმისიის შეთანხმება გაფორმებულია 7 ასეთ ქვეყანასთან.

შეთანხმების ტექნიკურ განხორციელებას მხარს უჭერს რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა (დაინერგა 2013 წელს). ამჟამად სისტემას წარმატებით იყენებს 19 ევროპული ქვეყანა და ის ფართოდ არის აღიარებული, როგორც ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმი უნებართვოდ მცხოვრებ პირთა უსაფრთხოდ დასაბრუნებლად. სისტემის დანერგვა ამ სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მნიშვნელოვან ნაბიჯს

წარმოადგენდა, ვინაიდან იგი წინ უძღოდა ევროკავშირთან სავიზო დიალოგს.

2018 წლის 13 სექტემბერს რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალი – ელექტრონული დასაბრუნებელი მოწმობა, რომელსაც რეადმისიის მიზნებისთვის იგივე სამართლებრივი ძალა აქვს, რაც ჩვეულებრივ, დაბეჭდილ დოკუმენტს. ელექტრონული დასაბრუნებელი მოწმობის ფუნქცია ფართოდ იქნა აღიარებული, როგორც სისტემის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტი.

2.5 რეინტეგრაცია

დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს, 2015 წლიდან ხორციელდება. მას ამჟამად სრულ ადმინისტრირებას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2019 წლის ბოლოს უწყებაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, შეიქმნა ახალი სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. შემდგომ სააგენტოში ჩამოყალიბდა რეინტეგრაციისა და ინტეგრაციის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე. სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სერვისების მიწოდება სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთათვის: სამედიცინო მომსახურება, სოციალური პროექტების დაფინანსება, პროფესიული განათლების ხელშეწყობა და საცხოვრისით დროებით უზრუნველყოფა.

2.6 ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო მიგრანტების გამოვლენა

2014 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. აღნიშნული კანონით შინაგან საქმეთა სამინისტრო განისაზღვრა უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის კუთხით პასუხისმგებელ უწყებად. ამ მიმართულებით ეფექტიანი მექანიზმების დასადგენად სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც ინსტიტუციურ, ისე საკანონმდებლო დონეზე.

2014 წელს შსს-ში შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციაა ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა

გამოვლენა და გაძევების პროცედურების განხორციელება. დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში ასევე შედის საქართველოს მიერ გაფორმებული უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებების შესრულება. 2018 წელს გაფართოვდა მიგრაციის დეპარტამენტის უფლებამოსილება და ის უზრუნველყოფს საქართველოში საერთაშორისო დაცვის უფლების განხორციელებას.

უკანონო მიგრაციასთან ეფექტიანი ბრძოლისათვის დაინერგა შიდაუნეებრივი, უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები. შეიქმნა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც შედგება შსს-ის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან. ჯგუფის ამოცანაა მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და მიგრაციის მართვის პროცესის გაუმჯობესება. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები რეგულარულად ტარდება.

შსს-ის მიგრაციის დეპარტამენტში 2014 წლიდან ფუნქციონირებს კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრი, რომელიც შეესაბამება უცხოელის დაკავებისთვის დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებს და მაქსიმალურად იცავს ადამიანის უფლებებს. ცენტრში გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ფლიგელები კაცების, ქალებისა და ოჯახების განთავსებისთვის; ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არსებობს ადაპტირებული ოთახები; ასევე საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომია სამედიცინო სერვისები (მათ შორის, ექიმის კონსულტაცია 24/7) და ფსიქოლოგის კონსულტაცია. განთავსებულებს აქვთ წვდომა პირადი ჰიგიენის საგნებსა და სხვადასხვა სარეკრეაციო საშუალებებზე (ტელევიზორი, საკითხავი, თამაშები და ა.შ.); ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფილია პირის ღია სივრცეში ყოფნა; ცენტრში განთავსებული უცხოელები ინარჩუნებენ მნიშვნელოვან კონტაქტს გარე სამყაროსთან.

მიგრაციის დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილება პასუხისმგებელია დროებითი განთავსების ცენტრში მყოფ უცხოელთა უფლებების დაცვის მონიტორინგზე.

2.7 თავშესაფრის პოლიტიკა

ბოლო წლებში თავშესაფრის პროცედურებზე საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს თავშესაფრის სისტემა.

2017 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს,

როგორცაა: თავშესაფრის მაძიებელთა საზღვარზე იდენტიფიკაცია, რეფერირება, განთავსება და თავშესაფრის პროცედურის აღსრულება. მიღებულია კანონქვემდებარე აქტებიც, მათ შორის, მინისტრის ბრძანებებით დამტკიცდა: „**თავშესაფრის პროცედურა**“ და „**უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შორის ინფორმაციის გაცვლის წესი**“. კანონმდებლობა უკვე შეესაბამება 1951 წლის გაეროს კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მის 1967 წლის ოქმს.

თავშესაფრის პროცედურის ეფექტიანი აღსრულებისა და შემდგომი გაძლიერებისთვის, საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოში 2014 წელს შეიქმნა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება, ხოლო 2016 წელს - ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება.

თავშესაფრის მაძიებელთა განთავსება უზრუნველყოფილია თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, რომლის ორივე შენობის მშენებლობა და კეთილმოწყობა მოხერხდა საერთაშორისო პარტნიორების (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, ასევე აშშ-ის ევროპული სარდლობის ხელმძღვანელობის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის) ძალისხმევით.

უფლებები და სერვისები

- 2016 წლიდან თავშესაფრის მაძიებლები და საერთაშორისო დაცვის მქონე პირები სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სტატუსებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე.
- საქართველოს მოქალაქეთა მსგავსად, თავშესაფრის მაძიებლები და საერთაშორისო დაცვის მქონე პირები ჩართული არიან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“, რომელიც 2013 წლიდან მოქმედებს. 2015 წლიდან თავშესაფრის მაძიებლებსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს წვდომა აქვთ სკოლამდელ განათლებაზე და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ ზოგადი განათლების უფლებით. თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის მოქმედებს ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური კურსები. მათ ასევე წვდომა აქვთ პროფესიულ მომზადებასა და საგანმანათლებლო პროგრამებზეც.

- სამართლიანი და ეფექტიანი თავშესაფრის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა UNHCR, ICMPT და IOM.
- საქართველოში მიზნობრივი საინტეგრაციო პროგრამა საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის 2017 წლიდან მოქმედებს. როგორც აღინიშნა, 2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შეიქმნა დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; შემდგომ სააგენტოში ჩამოყალიბდა რეინტეგრაციისა და ინტეგრაციის სამსახური, რომელიც ამჟამად პასუხისმგებელია სახელმწიფო საინტეგრაციო პროგრამის განხორციელებაზე და ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირებაზე. ცენტრის პროგრამა მოიცავს 4 კომპონენტს: ქართული ენის კურსები, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება სამოქალაქო განათლების კუთხით და საკონსულტაციო სერვისები.
- 2014 წლის 15 ნოემბრიდან იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო თავშესაფრის (და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის) მაძიებლებზე გასცემს დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობებს.

VLAP-ის ბლოკი 3:

საზოგადოებრივი ნესრიგი და უსაფრთხოება

3.1 ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა

ბოლო წლებში ისეთი მიზნებით, როგორიცაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა, პროაქტიული გამოძიება, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა და თანამშრომლობის გაძლიერება, შესაბამისი უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე (როგორც ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ისე მის მიღმა). შედეგად, 2012 წელთან შედარებით, ამ დანაშაულის სავარაუდო ფაქტებზე დაწყებულ გამოძიებათა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი – 5-ჯერ.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებაზე მიუთითებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2016-2020 წლების ანგარიშები, რომელთა თანახმადაც, საქართველო სრულად აკმაყოფილებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტებს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების გვერდით ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში.

2013 წელს შეიქმნა უწყებათშორისი კომისია, რომელიც მონიტორინგს უწევს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას. კომისიის საქმიანობაში ჩართული არიან შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა, განათლების და მეცნიერების და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების წარმომადგენლები. 2013 წლიდან დამტკიცდა 3 ეროვნული სტრატეგია, რომელთა ძირითადი მიმართულებებია ე.წ. „ქურდული სამყაროს“, ნარკოტრანზიტის და ნარკოვაჭრობის,

კიბერდანაშაულისა და კიბერმეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

3.2 საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განვითარების მიზნით, 2012 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრი. იგი კოორდინაციას უწევდა საზღვარგარეთ შსს-ის წარმომადგენლების/პოლიციის ატაშეებისა და მეკავშირე ოფიცრების საქმიანობას. პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, 2018 წელს შეიქმნა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რომელიც ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს საერთაშორისო ოპერატიულ თანამშრომლობაში მონაწილე ყველა დანაყოფს.

გარდა ამისა, ამ საერთაშორისო სამართალდაცვითი თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, 2018 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „**სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ**“. ცვლილებები მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებზე მტკიცებულებათა მიღების პროცედურების გამარტივებას.

2017 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას „**საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს (ევროპოლი) შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ**“, რითაც საქართველო გახდა ევროპოლის სტრატეგიული და ოპერატიული პარტნიორი. ევროპოლთან თანამშრომლობის ფარგლებში, ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ქართველი სამართალდამცავები ინფორმაციას ცვლიან და მონაწილეობენ სისხლის სამართლის სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის პროცესში. ევროპოლში საქართველოს სამეკავშირეო ოფისი მჭიდროდ თანამშრომლობს მძიმე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული ცენტრის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებსა და ანალიტიკურ პროექტებთან. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა ოპერატიულ პარტნიორებთან ინფორმაციის გასაცვლელად, გამოიყენება ევროპოლის უსაფრთხო კომუნიკაციის არხი (SIENA). 2020 წელს საქართველო გახდა დანაშაულებრივი საფრთხეების წინააღმდეგ მულტიდისციპლინური ევროპული პლატფორმის პარტნიორი და მონაწილეობას მიიღებს 2021 წლის ოპერაციული სამოქმედო გეგმის „არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის წინააღმდეგ ბრძოლა“ განხორციელებაში.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპოლიციო თანამშრომლობის საკითხებზე საქართველომ 33 ქვეყანასთან გააფორმა საერთაშორისო შეთანხმება/ურთიერთგაგების მემორანდუმი (მათ შორის, ევროკავშირის 17 წევრთან).

2012-2020 წლებში საქართველომ გააღრმავა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა და გააფართოვა პოლიციის ატაშეების ქსელი: საქართველომ 16 პარტნიორ ქვეყანაში მიაწვლინა პოლიციის ატაშე (მათ შორის, ევროკავშირის 11 წევრ ქვეყანაში), რომლებიც ფარავენ 24 ქვეყანას (მათ შორის, ევროკავშირის/შენგენის ზონის 19 ქვეყანას).

საქართველოსა და ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოს (ევროჯასტი) შორის 4-წლიანი წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, 2019 წლის 29 მარტს ხელი მოეწერა შეთანხმება „საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 27 ივლისიდან. დოკუმენტის საფუძველზე, 2020 წლის ივნისიდან ევროჯასტში მივლენილია საქართველოს მეკავშირე პროკურორი. სააგენტოსთან თანამშრომლობა მიზნად ისახავს სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის, ასევე მძიმე დანაშაულის, განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

3.3 პერსონალურ მონაცემთა დაცვა მიგრაციის სფეროში

2013 წლის ივლისში შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხებველო ორგანო - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რომელიც აღიჭურვა მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლისა და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დანერგვის მანდატით. სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან ფარულ თვალთვალზე (მიყურადებაზე) დამოუკიდებელი გარე ზედამხედველობის მიზნით, 2015 წლიდან აპარატს დაეკისრა ახალი ფუნქცია - ამგვარ ღონისძიებათა ზედამხედველობა და წინასწარი კონტროლი. იმავე წლის მარტში ამოქმედდა ფარული საგამოძიებო მოქმედების მონიტორინგის ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც მონაცემთა დაცვის ორგანოს შეუძლია ინფორმაციის შეგროვების კანონიერების წინასწარი კონტროლი და მიყურადების ხელშეშლა, თუკი არ არის დაკმაყოფილებული ყველა სამართლებრივი მოთხოვნა.

2018 წლის ივლისში, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, მონაცემთა დაცვის ორგანოში ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა. ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც გამოცხადდა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლედ (მუხლი 27). სამსახურს მიენიჭა დამოუკიდებლობის იგივე გარანტიები, რითაც სარგებლობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე (მუხლები 7, 12).

ახალი კანონის თანახმად, 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, სამსახურის მანდატი გაფართოვდა: ზემოაღნიშნულ ძირითად მიმართულებებთან ერთად (პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი), სამსახურის საქმიანობა ამჟამად მოიცავს საგამოძიებო ფუნქციებსაც. აღნიშნული მოიცავს, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების და ძალადობით, ან დამარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის გამოძიებას.

ბოლო ათწლეულში საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით და მეტად შეუსაბამა ეროვნული კანონმდებლობა და ინსტიტუციური ჩარჩო საერთაშორისო და ევროპულ საუკეთესო პრაქტიკას:

- 2006 წელს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის (108-ე კონვენცია) მხარე. 2013 წლის მარტიდან დაიწყო ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით 108-ე კონვენციის 2001 წლის დამატებითი ოქმის ხელმოწერისა და რატიფიცირებისთვის ოფიციალური პროცედურები, ხოლო 2013 წლის ივლისში მოხდა დამატებითი ოქმის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ. ორივე ინსტრუმენტის დებულებები ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში;
- 2012 წლიდან ქვეყანაში მონაცემთა დაცვის სისტემის შესაქმნელად ყოვლისმომცველი რეფორმები განხორციელდა. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც 2012 წლის მაისში შევიდა ძალაში, ქმნის ძირითად საკანონმდებლო ჩარჩოს საჯარო თუ კერძო დაწესებულებების, მათ შორის, სამართალდამცველი უწყებების მიერ პერსონალურ მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის. კანონი ასევე განსაზღვრავს სპეციალურ რეგულაციებსაც, მაგალითად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებთან დაკავშირებით;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ საქართველოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში

რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები მისი ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. ქვეყანა კვლავ აგრძელებს ეროვნული საკანონმდებლო პრაქტიკისა და ჩარჩოს დაახლოებას მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხებდველო ორგანოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ძირითად სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც მუშაობენ პერსონალურ მონაცემთა დიდ ბაზებთან (მათ შორის, მიგრანტთა პერსონალურ მონაცემებთან), შეიქმნა მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია და მონაცემთა დაცვის განყოფილებები. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ 2014 წელს შსს-ში შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის განყოფილება (2018 წლიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილება), რომელსაც ევალება სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონზე დაცვა და მისი დაცვის მონიტორინგი;
- ამ სფეროში უკანასკნელი მოვლენების გათვალისწინებით (ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) ამოქმედება და 108-ე კონვენციის მოდერნიზება), საქართველოს მონაცემთა დაცვის საზედამხებდველო ორგანომ, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა დახმარებით, შეიმუშავა ახალი კანონპროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. აღნიშნულს წინ უძღოდა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, კერძო სექტორის, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციების რამდენიმე ეტაპი. საქართველოში მონაცემთა დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, კანონპროექტში აისახა GDPR-ისა და მოდერნიზებული 108-ე კონვენციის ძირითადი სიახლეები. შემდგომი საკანონმდებლო პროცედურებისთვის კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს 2019 წლის მაისში წარედგინა.

VLAP-ის ბლოკი 4:

საგარეო ურთიერთობები და ძირითადი უფლებები

4.1 მოქალაქეთა და უმცირესობათა უფლებები

2018-2020 წლებისთვის შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

2014 წელს მიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ უზრუნველყოფს უთანასწორობისგან დაცვას ნებისმიერ (საჯარო თუ კერძო) სივრცეში, ასევე განსაზღვრავს დისკრიმინაციის ფორმებსა და საფუძვლებს. მაგალითად, ამ ნორმით ქართული მართლმსაჯულების სისტემაში დამკვიდრდა მრავალმხრივი დისკრიმინაციის ცნება. კანონის ძალით თანასწორობაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. უთანასწორობის შედეგად დაზარალებულ პირებს თავიანთი უფლებების დასაცავად ეძლევათ შესაძლებლობა, მიმართონ როგორც სახალხო დამცველს, ისე სასამართლოს.

4.2 დიასპორის ჩართულობა

2009 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ინიციატივას „პარტნიორობა მობილობისთვის“. დეკლარაციით გათვალისწინებულ პრინციპებზე დაყრდნობით, ამ დროიდან საქართველოს მიგრაციის პოლიტიკაში აისახა დიასპორის ჩართულობის მნიშვნელობა, რაც მოიცავს მიგრანტთა და დიასპორის წევრთა წვლილის აღიარებას მათი წარმოშობის ქვეყნების განვითარებაში. შედეგად, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა მიგრაციისა და განვითარების სფეროში განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ფოკუსირებული იყო ქართველ მიგრანტთა ჩართულობაზე. მათ შორის აღსანიშნავია: დიასპორის დაჯილდოება

- მაღალკვალიფიციური დიასპორის ჩართულობის პროგრამის საკვანძო ელემენტი, რომლის მიზანია მთელი მსოფლიოს ქართველთა აქტიური მონაწილეობა სამშობლოს განვითარებაში; ყოველწლიური დიასპორის ფორუმი - ჩვენი თანამემამულეების შესაძლებლობა, მსოფლიოს ყველა კუთხიდან დაამყარონ კავშირი სამშობლოსთან. ფორუმი აერთიანებს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს (მაგ.: აკადემიური წრეები, კერძო და საჯარო ორგანიზაციები, ბიზნესი და მენარმეობა, ხელოვნება და კულტურა და ა.შ.); ახალგაზრდა ელჩების პროგრამა, რომელმაც გააძლიერა ქართული დიასპორის ახალგაზრდა წევრთა მოზიდვის პროცესი. პროგრამაში მონაწილეობენ საზღვარგარეთ მყოფი ახალგაზრდა ქართველები უცხო ქვეყნებში საქართველოს დადებითი იმიჯის ხელშესაწყობად.

4.3 საინფორმაციო კამპანიები

საინფორმაციო კამპანია ქვეყნის მასშტაბით

2013 წლიდან საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო პარტნიორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით (მათ შორის, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ღონისძიებებით), აქტიურად წარმართავს საინფორმაციო კამპანიებს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ.

უვიზო რეჟიმის ამოქმედებამდე (2015-2017) საქართველომ განახორციელა VLAP-ით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანიის პირველი ფაზა, რომელიც შეეხებოდა საქართველოს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს მომავალი უვიზო მიმოსვლის ფარგლებში. 2017 წლის მარტში, უვიზო რეჟიმის ძალაში შესვლამდე ორი კვირით ადრე, დაიწყო მეორე ფაზა - საინფორმაციო კამპანიის ყველაზე აქტიური ნაწილი. ეს ეტაპი მოიცავდა ყოვლისმომცველ კამპანიას, ფართო სპექტრის აქტივობებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით (მეხვედრები, ონლაინმედია, ტელევიზია, რადიო, ბროშურები, საზოგადოებრივ ტრანსპორტში განთავსებულ პოსტერები/ბანერები და ა.შ.), ასევე შენგენის კალკულატორის სპეციალური ქართული ელექტრონული აპლიკაციის (EU/ Schengen App) შექმნას.

VLAP-ით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანიის მესამე ფაზა ასევე მიზნად ისახავდა საქართველოს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას უვიზო მიმოსვლის რეჟიმზე, მოგზაურთა უფლებებსა და მოვალეობებზე. კამპანიის კონკრეტული მიზანი იყო თავშესაფრის პროცედურების ბოროტად გამოყენების პრევენცია. ეს ფაზა დაიწყო 2018 წელს და აქცენტი გაკეთდა კავშირზე უვიზო რეჟიმის ბოროტად გამოყენებასა და შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას შორის, ასევე იმ უარყოფით შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოეთანა ახალი რეჟიმით არასწორ სარგებლობას საქართველოს კეთილსინდისიერი მოქალაქეებისთვის. კონკრეტული ღონისძიებები გატარდა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით:

- საინფორმაციო ვიდეორგოლები, რომლებიც განმარტავდა უვიზო მიმოსვლის რეგულაციათა დარღვევის შედეგებს, განთავსდა ეროვნულ და რეგიონულ სატელევიზიო და რადიოარხებზე, ასევე სოციალურ მედიაში;
- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში;
- გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები უფლება-მოვალეობებზე უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ფარგლებში, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა ენებზეც (აფხაზურად, ოსურად, აზერბაიჯანულად, სომხურად და რუსულად);
- საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები (ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში, ასევე ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში) აქტიურად მონაწილეობდნენ ინფორმაციის გავრცელებაში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით (მაგ.: დიასპორულ ორგანიზაციებთან შეხვედრები; ინფორმაციისა და ვიდეორგოლების განთავსება ოფიციალურ ვებგვერდებზე და სოციალური მედიით);
- პოლიტიკური ლიდერებისა და მთავრობის წარმომადგენლების განცხადებები და ინტერვიუები ვრცელდებოდა ცენტრალურ და რეგიონულ გაზეთებში, აგრეთვე ინტერნეტპორტალებზე; მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლები (მინისტრების, მათი მოადგილეებისა და ელჩების ჩათვლით) აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ტოქშოუებსა და სატელევიზიო პროგრამებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის წესებსა და ვალდებულებებზე სასაუბროდ.

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში ცვლილების გათვალისწინებით (ძალაში შევიდა 2021 წ.), მთავრობამ, ICMPD-ის პროექტთან - ENIGMMA 2-თან თანამშრომლობით, 2020 წლის დეკემბერში დაიწყო შესაბამისი საინფორმაციო აქტივობების განხორციელება.

2015 და 2017 წლებში მსსკ-მ შეიმუშავა ლეგალური მიგრაციის გზამკვლევი - ძირითადი საინფორმაციო რესურსი მიგრანტებისა და მიგრაციის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის. სხვა თემებთან ერთად, სახელმძღვანელო შეიცავდა ინფორმაციას ევროკავშირში ლეგალურ მიგრაციასა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე, რომლებიც უკავშირდება ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმს.

2016 წლიდან, მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით დარიგდა 900,000-ზე მეტი ბროშურა, რომლებშიც აისახა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო

მიმოსვლის პირობები და შესაბამისი ინსტრუქციები. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობით მოქმედი იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების ქსელის მეშვეობით. გარდა ამისა, საქართველოს თითქმის ყველა სოფელში, საზოგადოებრივი ცენტრების ბაზაზე, გაიმართა პირისპირ შეხვედრები რეგიონის მოსახლეობასთან.

მობილური აპლიკაცია EU/Schengen App

2020 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო შენგენის/ევროკავშირის კალკულატორის მობილური აპლიკაციის განახლება. პროცესის თავდაპირველი მიზანი გახლდათ საქართველოს მოქალაქეთა დახმარება საზღვარგარეთ გატარებული დღეების ჩანიშვნასა და დარჩენილი დღეების გამოთვლაში, რაც მათ გაუმარტივებდა უვიზო მიმოსვლით სარგებლობას. მისი ახალი მიზანია აპლიკაციის განახლება COVID-19-ის პანდემიის ფონზე შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების ასახვად, რაც ამჟამად გავლენას ახდენს საერთაშორისო მობილობაზე. განახლებული აპლიკაციით საქართველოს მოქალაქეები გაეცნობიან კონკრეტულ ქვეყანაში მოგზაურობის რეგულაციებს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მდგომარეობასთან ერთად; ასევე, მიიღებენ სხვა სასარგებლო ინფორმაციას ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში მოგზაურობის შესახებ.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე მოქალაქეთა ინფორმირებისთვის, საქართველოს მთავრობის ძალისხმევას ყველა ეტაპზე უჭერდა მხარს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და ICMPD-ის ძალისხმევით განხორციელებული ორივე პროექტი - ENIGMMA და ENIGMMA 2 - სრულად იყო ჩართული საინფორმაციო კამპანიებში.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი
განაგრძობს მნიშვნელოვანი რეფორმების
წახალისებას მიგრაციის, უსაფრთხოებისა და
მართლმსაჯულების სფეროებში და ხელს უწყობს
ხალხთა შორის კონტაქტებს.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ასევე გულისხმობს
პასუხისმგებლობასაც.

ამიტომ მნიშვნელოვანია, მუდმივად სრულდებოდეს
სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მოთხოვნები
და ყოველთვის უზრუნველყოფილი იყოს კარგად
მართული მიგრაციისა და უსაფრთხოების პირობები.



PUBLIC SERVICE
DEVELOPMENT AGENCY



ICMPD
International Centre for
Migration Policy Development



ENIGMMA
Putting the pieces together
to respond effectively to migration challenges